მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს, ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

კიევში აღმოაჩინეს ფარული სტამბა. 25 რევოლიუციონერებმა აიძულეს გაზეთ „ტერეკ“-ის სტამბა დაებეჭდა 7,000 მოწოდება რუს გლეხებისადმი. ნიჟნი ნოვგოროდში „ნადეჟდას“ სააგენტოსაგან გაიტაცეს 16,000 მანეთი.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

№ 50 — კვირა, 6 აგვისტო, 1906 წ. თბილისი — № 50

გ ა მ ო ვ ი დ ა

## ახალი წიგნი ძველი და ახალი

არჩილ ჯორჯაძისა.

იყიდება „მუშის“ რედაქციაში და ქართვ. შორ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.

ფასი 25 კაპ.

## გრიგალის წინ.

Эй, Господи, гряди скорѣй.

I

რეაქცია და რევოლიუცია ერთმანეთს ეჯიბრებიან. რეაქცია—ეს ძველის, სიდამპლის და გახრწნილების სული კიდევ მაგრობს, არ უთმობს ადგილს ახალს, თავისუფლებას და თავისუფალი განვითარების ხანის აღმოცენებას. ძალას იგროვებს, ახალ ძალებსა ეძებს. ნდობა დაკარგული, გაკოტრებული ქერქს იცვლის, ლიბერალურ სიტყვებსა ხმარობს ისე, როგორც იუდა ხმარობდა სიყვარულის სიტყვებს: ფული უნდა, სისხს ეძებს, რომ ახალი სისხით, ახალი მილიონებით, რომელთაც საწყალს, დაჩაგრულს მონობისა და შიმშილისაგან გამწარებულ რუსეთის ხალხს სისხლად ამოანთხევენ, ამ მილიონებით მას სურს ახალი პულემიოტები, ახალი ზარბაზნები, კიდევ და კიდევ ახალი და ახალი ხროვა კაზაკებისა რევოლიუციის სისხლში და ცრემლში ჩასახრჩობად. პრესა აღარ არის, ენის შემბრუნებელი აღარავინა ჰყავს გამძვინვარებულ რეაქციას, მუშათა ორგანიზაციები სდუმან, სდუმან პარტიები, სდუმს ხალხი: ასე გიგონებს რეაქციას ყველაფერი დაანგრია და გარყვნა, ასე გეგონება, რომ სიცოცხლის ძარღვის ცემა შესწყდა და ლეშით მაძღარი, შმორის სუნით დამტკბარი რეაქცია სტკბება, სტკბება თავის გამარჯვებით, მაგრამ არა, ეს ასე არ არის.

ხალხი სდუმს, მაგრამ სდუმს გარეგნულად, მის გულში მთელი გენია ტრიალებს, იქ იგუბება საშინელი ზიზღი და სიძულვილი, ის საშინელი ზიზღი და სიძულვილი, რომელთაც მონობა და შიმშილი უხვად სთესავს შიგ. ჯერ სიწყნარეა, მაგრამ ხალხის გულის ცემა მატულობს და მატულობს. დღეს ის უკვე უზარ-მაზარ განგაშად არის გადაქცეული, რეაქციას ამ უზარმაზარი განგაშის ცემა არ ესმის, მაგრამ რევოლიუციას ის კარგად ესმის და წელშიც იმართება. იღვიძებენ იმედები. ზიზღისა და სიძულვილის პოეზია მალე თავის გამომხატველ სიმებსა ჰპოებს რევოლიუციის ქუქა-ქუხილში, რევოლიუციის ქარიტხილში. ხალხს გაავთრებულს შიმშილისაგან, დაჩაგვრისაგან ეკარგვის ნდობა მთავრობისა, ეკარგვის რწმენა, მისი გული და ტვინი ნელ-ნელა მწარე ცხოვრების ზეგავლენით იწმინდება იმ საშინელი შხამისაგან, რომელიც ჩაუწვეთეს მას შიგ დიდი დაუსრულებელი მონობის დროს ქრისტიანულ ლაზღანდრობასაც ანებებს თავს და თავის გულს ღრმასა და ფართოს ზღვასავით უხსნის ცხოველ-ყოფელს სიძულვილს მონობა—შიმშილობის რეჟიმისას. ვინა ჰქნა ყველა ეს, ვინ მოახდინა ასეთი ტრანსფორმაცია ხალხის გულისა? რეაქციამ, დიახ რეაქციამ. იმას რაც ამ ცოტა ხანში რეაქციამ მოიმოქმედა, ვერ ვიზამდით 20 წლის პროპაგანდით. რეაქციამ ნათლად გახადა ყველასათვის, რომ მთავრობა არავითარ ზნეობრივ უფლებაზე არ ემყარება, რომ მისი უფლება არის უფლება ძალმომრეობისა, არაყით გალოთებულ ორდებისა, უფლება ყაჩაღისა, უფლება მყვლეფელ-მგლეჯელისა. იმ მთავრობას, რომელიც ხალხის ინტერესების დაცვას და სამსახურს იჩემებდა შიმშილით გამწარებული ხალხი მიწასა სთხოვს, რადგან მიწაში ხედავს თავის თავისუფლების იარაღს, რადგან მიწაა მისი შიმშილობის მალამო, მთავრობა კი, რომელშიაც აქ ბოლო ხანამდე რუსის გლეხი თავის მოკავშირესა და დამცველს ხედავდა ხიშტს, გალესილ, გასანსალებულს ხიშტსა უწვდის მშიერი მუცლის გამოსახევად. აი დახმარება, აი ნუგეში!.. მუშა, უმუშევრობისაგან გამწარებული, მოკლებული თავის ერთად ერთ შემოსავალს თავის ერთად ერთ ავლა-დიდებას — თავის მუშის ქირას, დამშეული ხელს იწვდის,—მთავრობა კი, ის მთავრობა, რომელიც არავის მუშის ინტერესების დაცვაზე ლაპარაკსაც არ ანებებდა, რადგან მათ სვებედზე ზრუნვა თავის მონოპოლიად ჰქონდა გამოცხადებული, აი ეს მთავრობა მუშას გამოწვდილ ხელში ქვასა უდებს და იქ, სადაც მუშა ამით არ კმაყოფილდება პურის მაგიერ ცხელ ტყვიასა იღებს. აი მთავრობა და მისი ზრუნველობა. აი მოქმედება რეაქციისა. ამის მეოხებით ის ჰეშმარიტება, რომ მთავრობა ხალხის მტერი ყოფილა და იქნება ყოველთვის, რომ ხალხი მხოლოდ იმას მიიღებს, რასაც მთავრობის დაუკითხავად ძალით წაიღებს, ეს დიდი ჭეშმარიტება დღეს იკიდებს ფეხს ხალხის გონებაში, დღეს ის ხალხის მთელ გონებად ხდება. ხალხის ამ გვარ გონებრივ ევოლიუციას რეაქციამ შეუწყო ხელი და აი რისთვის ამ რეაქციით გონება გამოლაყებულ მთავრობის წარმომადგენლებს ჩვენ ყოველთვის ვეუბნებოდით და ვეუბნებით: რევოლიუციას ვერ მოჰკლავთ თქვენ ხალხის მოუკვლელად, რევოლიუცია უკვდავია როგორც რევოლიუციის (აქციის) რეაქცია თქვენი დღევანდელი რეაქციაა, ისე თქვენი დღევანდელი რეაქციის აქცია — რევოლიუციაა. სიცოცხლეს თავის კანონები აქვს: ცოცხალს მკვდრის სუდარაში ცხოვრება არ შეუძლია, თქვენი რეჟიმი კი კუბოა, რომელშიაც თქვენ გსურთ სუდარაში გახვეული მთელი რუსეთის ხალხი ჩაამწყვდიოთ. არა, ეს თქვენ ძალას აღემატება, ცოცხალს მკვდრის პირობებში ცხოვრება არ შეუძლია ისე, რომ მკვდარი არ გახდეს; რუსეთის ხალხი ცოცხალია მას სიცოცხლე სურს და სიცოცხლისაკენ მისწრაფვის და რადგან თქვენ მისთვის გარდა სიკვდილის პირობებისა ვერაფერი შეჰქენით გაუშვით მას ხელი, ის თითონ გაიკაფავს გზას, ის თითონ მოაწყობს თავის ცხოვრებას; ნუ ეღობებით გზაზე მის მსვლელობას: ვერაფერს გახდებით, მის რევოლიუციას თქვენ ისე ვერ მოჰკლავთ, როგორც მას, რადგან მას სიცოცხლე უნდა, უნდა სულით და გულით, მთელი თავის არსებით,—ეს სიცოცხლე კი რევოლიუციაშია. ამისათვის თქვენი უსუსური და უწმინდური ხელებით, ცხოვრების სტიქიის რევოლიუციას ვერ შეაჩერებთ და ხალხის ცხოველმყოფელ და თქვენი დამანგრეველი და დამარღუნველი ქარტეხილი იფეთქებს, იფეთქებს მალე იფეთქებს.

Содрогнитесь, Вальтасары!

ქ. ი—ი.

## წერილი ჟენევიდან.

ამ უკანასკნელ 8— 10 თვის განმავლობაში, რუსეთის მდგომარეობამ და კერძოთ საქართველომ, ბევრი სიხარული და სიმწუხარე გამოგვაცდევინა ევროპაში მყოფ ქართველებს. სანამდის რუსეთში და საქართველოში რეაქცია დაიწყებოდა, ჩვენ აღტაცებით ვეგებებოდით რუსეთის დიდ რევოლიუციას. პირველი დიდი გაფიცვების დროს ყველა ევროპის ქალაქებიდან (სადაც ქართველები არიან) ერთი და იგივე გვესმოდა: ქართველი ახალგაზრდობა საქართველოში მიდის, ხალხი ემზადება აჯანყებლათ და მრავალი სხ.; მე თითონ მახსოვს, როგორ გაღავიწყვეტეთ ქ. ჟენევის ქართველებმა სამშობლოში დაბრუნებულიყავით; მართალია ამ გადაწყვეტილებაში დიდი ადგილი ეპყრა [illegible] მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენ ვიყავით ჩავარდნილნი (დიდი და ხანგრძლივი გაფიცვების გამო), მაგრამ ისიც მართალია, რომ უმეტესობა აღტაცებული იყო სურვილით, მონაწილეობა მიეღო განმათავისუფლებელ ბრძოლაში. დადგა რეაქცია, საოცარ მდგომარეობაში ჩავარდით, (სამშობლოში დაბრუნება აგვეკრძალა); დღითი დღე დეპეშებს უარესი და უარესი ამბები მოჰქონდათ; გავიგეთ ალიხანოვის შესვლა ქუთაისის გუბერნიაში; შესვლა და იქაურობის აოხრება. საქართველოში ჯარის მხეცურმა მოქმედებამ მთელი ევროპა აალაპარაკა. ჩვენი ქალების გაუპატიურებამ, ჩვენ თანამოძმეთა სახლკარის გადაწვამ და იმათი უსახლ-

კაროდ და ულუკმა-პუროთ დარჩენამ, უკიდურეს მწუხარებაში ჩაგვაგდო. არ ვიცოდით რა გვექნა. ბოლოს დაბადა ერთს, ქ. ჟენევაში მყოფს, ქართველთა ჯგუფში შემდეგი აზრი: აღმოგვეჩინა რეაქციისაგან დაზარალებულ ქართველთათვის ქონებრივი დახმარება; გამოგვეშვა მოწოდებანი, ფურცლები ხელ-მოსაწერი, გაგვემართა რეფერატები და საღამოები და ამგვარათ შეგვეკრიბა ფული. (ეს გახლდათ დაახლოებით მარტის პირველ რიცხვებში 1906 წ.). მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ ამ დიდად კარგმა და ჰუმანიურმა ჩემის აზრით საქმემ ვერ მოიპოვა თანაგრძნობა ევროპაში მყოფ ყველა ქართველ—თა შორის, როგორც ქ. ჟენევაში (სადაც იმ ხანად იმყოფებოდა და ეხლაც იმყოფება დაახლოებით 30—35 ქართველი ქალ-ვაჟი), ისე ყველა თითქმის იმ ქალაქებში სადაც მივმართეთ დახმარებისათვის ამ აზრმა ვერ მოიპოვა თანაგრძნობა. და მერმეთ ვისგან? „ქვეყნის გამანთავისუფლებელ“, „მუშათა ინტერესების დამცველ“ „ჩაგრულთა და წალეკილთა წარმომადგენელ“ „ინტერნაციონალისტებ“ ქართველ სოციალ-დემოკრატებისაგან; მიუხედავათ ყველა ამისა, ზემოხსენებულმა ინიციატორთა ჯგუფმა, არ დავაკლეთ ჩვენ შეძლებისდა გვარად მაცადინეობა, და გლახათ თუ კარგად, გვიან თუ ადრე სისრულეში მოვიყვანეთ ჩვენი მოფიქრება; უწინარეს ყოვლისა მივმართეთ ჟენევაში ერთს გამოჩენილ მუშა ანარქისტს ბერტონის, *) რომელმაც დანიშნა დიდი მიტინგი **) შემდეგი სახელით: „რევოლიუცია და რეაქცია საქართველოში“ ჩვენ ჩვენი მხრით მივაწოდეთ მას ცნობები უკანასკნელი მოძრაობიდან. ამ მიტინგზედ ბერტონმა დაასურათა მუშათა მოძრაობა ჩვენში, უკანასკნელი რევოლიუციონური აჯანყებანი, ამასთან უკანასკნელ დროს რევოლიუციონერებიდან რკინის გზის ხელში ჩაგდება და სხ., ასწერა დაწვრილებით ის რეაქცია რომელში ქართველი ხალხი მაშინ უკვე ჩავარდნილი იყო და ბოლოს ბერტონმა გამოსთქვა თავის აზრი მოძრაობაზედ და ქართველ ხალხზედ. ***) მიტინგს ბლომად დაესწრო ხალხი; და ყველა ხარჯების გარდა როგორც აფიშები, ზალა, დაგვრჩა დაზარალებულ ქართველებში სასარგებლოთ 75 მან.

გამოურებით მადლობის ღირსი არის ბერტონი რომელმაც უფასოთ დაგვიბეჭდა ხელ მოსაწერი ფურცლები, რომელიც იყო გამოშვებული ჟენევის ქართველ სტუდენტთა კორპორაციის სახელით, წარწერით: „Jiste de suscription en faveur des victime de la represion sanglante Georgie.“

ეს ფურცლები შეძლებისდაგვარად დავარიგეთ ჟენევაში ნაცნობებში. აგრეთვე გავგზავნეთ სხვა და სხვა ევროპის ქალაქებში სადაც ქართველები, ან ნაცნობები, გვეგულებოდნენ და ადრესები ვიცოდით. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ აი როგორი პასუხი მოგვივიდა ლეიპციგიდან (გერმანია) და დრამშტადიდან (გერმანია). ლეიპციგიდან იწერება ამხანაგი: „თქვენი გამოგზავნილი მოწოდება მივიღე, შევუყარე ქართველებს თავი და აუხსენი როგორც იყო საქმე, მაგრამ რადგანაც აქ უმეტესობა სოც.-დემოკ. არიან, აი როგორი რეზოლიუცია გამოიტანესო: „ჩვენ როგორც ს. დ. ინტერნაციონალისტები, პრინციპიალურათ უარს ვყოფთ რაიმე მონაწილეობა მივიღოთ დაზარალებულ ქართველთა ფონდის დაარსებაში“. დავრჩით ჩვენ — განაგრძობს ამხანაგი — 8 კაცი არი ს. დ. რომლებიც რასაკვირველია ყოველ ღონის ძიებს ვიხმართ დახმარება აღმოვიჩინოთ“. დარმშტადიდანაც თითქმის იმ გვარივე პასუხი მოგვივიდა სოც.-დემოკრატებისაგან გვწერდა ამხანაგი, განაცხადეს: თუ მოგვივა სრულიად რუსეთის სოც. დემოკ. ცენტრალურ კომიტეტის მოწოდება, მაშინ მივიღებთ მონაწილეობას, მაგრამ რასაკვირველია, იმ პირობით, რომ შეგროვილი ფული ცენტრალურ კომიტეტს გადაეცემაო, რომელიც თვითონ ნახავს, ვინ არის გაჭირვებული, ქართველები თუ პოლონელები და სხ. და გაანაწილებს ფულს საჭიროებისამებრ. მე, იწერებოდა ამხანაგი, რასაკვირველია ჩემს მაცადინეობას არ დავაკლებ, მივმართავ აქ სხვა და სხვა კორპორაციებს და შევაგროვებ რამდენსაც შევსძლებო. ჩვენ რასაკვი-

*) მართალია, ქართველ სოც.-დემოკრატებმა სასწრაფოთ კამათებდეს საზიზღარი და მასთან მათივე დაუდამსხმელი აზრი იმას შესახებ რომ ვითომც ანარქისტები არამც თუ მუშის ინტერესებს არ იცავენ, და მუშები არ არიანო. არამედ ნებაც არა აქვო მუშის სახელი ახსენონო ამ მასაზრებით ბძანება გასცეს და ულტიმატუმი გაუგზავნეს ქართველ ამხანაგებს და მოსთხოვეს რომ დაუყონებლივ გამოეცვალათ სახელი ქარ. ანარქისტულ ორგანო „მუშისათვის.“ ჩვენ აქ ამას პასუხის მიცემას არ გამოუდგებით, რადგანაც არც ადგილია და მასთან ქართველმ ამხანაგებმა შესაფერი პასუხი გასცეს ცილის მწამებელს. მხოლოდ ვიტყვით, რომ ჩვენდა სახელნიეროთ და ს.-დემოკრატების საუბედუროთ, ევროპაში უმეტესი მოწინავე მუშები ანარქისტებია: მაგალითად ბერტონი და სხვა აიასობით. (ბერტონი ასოთ-ამწყობია).

**) მიტინგზედ უკვე იყო ხსენებული ქართულ პრესაში, მადლობის ტელეგრამები, რომელიც ჩვენდამი იყო მიღებული საქართველოდან უკვე გარდავეცით ბერტონს.

***) მიტინგმა, გარდა იმისა რომ, მატერიალური დახმარება აღმოგვიჩინა, დიდათ სასარგებლო გამოდგა იმ მხრითაც რომ, უმეტესი მსმენელთაგანი გაეცნო ქართველ ხალხს და იმათ სარევოლიუციო ბრძოლას; ეს მით უმეტეს სასიამოვნო იყო, რომ ჩვენზედ (ქართველებზედ) დიდი არაფერი წარმოდგენა ქონდათ უცხოებს, რომ იტყვი კავკასიელი ვარო, სომეხი ეგონებით მაშინვე და თათრებზედ დაგიწყებენ ლაპარაკს. არა თუ საზღვარ-გარეთელებს, არამედ ბევრ რუს. რევოლიუციონერებსაც ეგონათ და ბევრსაც კიდევ ჰგონია, რომ კავკასიაში რევოლიუციის თავიც და ბოლოც სომხები არიან. არა ნაციონალიზმი არამედ ჭეშმარიტება გვაიძულებს აღვნიშნოთ ეს ფაქტი. ჟენევის მიტინგმა, (რომელიც რამდენად ვიცით, პირველი იყო ქართველებზედ ევროპაში და მერმეთ ქ. ბრიუსელში (ბელგია) გამართულმა მიტინგმა, ბევრათ თუ ცოტათ, გაეცნო ქართველი ხალხი ევროპას. მე პირადათ მადლობას უცხადებ იმ ქართველ სტუდენტებს ჟენევაში, რომელიც არიან ს.-დემოკ. და გარდა, არ გაიცხადეს, რომ ხელმოსაწერი ფურცლები ქართველ სტუდენტთა კორპორაციის სახელით გამოსულიყო: და იძულებული არ გაგვხადეს ერთი ჯგუფის სახელზედ გამოგვეშვა

# ფელეტონი

## საფრანგეთის დიდი რევოლიუცია

პ. კროპოტკინისა

### I.

დიდის ამბით გადაიხადა საფრანგეთმა რევოლიუციის ასი წლის იუბილეი. ბურჟუაზია დიდხანს ხელს აფარებდა ამ რევოლიუციას. შეურაცხყოფდა და ლაფს ასხამდა ყველას, ვინც თავისი ენტუზიაზმი, შეუდრეკელი ენერგია და მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა კაცობრიობის განთავისუფლების დიდებულ საქმეს. ეხლა კი, იმავე ბურჟუაზიამ რევოლიუცია თავის საქმედ გამოაცხადა: ბასტილიის აღების დღე ნაციონალურ დღესასწაულად გადაიქცა; ბასტილიის აღების დღის სადიდებლად გაიმართა გამოფენა, რომელიც უეჭველია თავის კვალს დააჩენს ისტორიის ფურცლებზე.

საზოგადო მხიარულებამ მუშებიც გაიტაცა. თვით სამხიარულო დღესასწაულში არის რაღაც გადამდები: „ცხოვრების ხალისი იპყრობს მასსებს; საზოგადო მხიარულება უფრო გულგრილებსაც წარიტაცებს ხოლმე. და აი გლეხთა და მუშათა საფრანგეთმაც 1889 წელს 14 ივლისს ოფიციალურ საფრანგეთთან ერთად მონაწილეობა მიიღო დღესასწაულში.

და მართლაც, 14 ივლისი, დიდებული რევოლიუციონური დატაა კაცობრიობის ისტორიაში. ამ დღეს იყო ფეხშიშველეებთა პარიზი აჯანყდა, იგი მიხვდა თავის ძალას და დაანახვა მომავალ თაობას, თუ როგორ იქცევა მტკიცე მთავრობა ხალხის მასსათა იერიშის ქვეშ. რა იყვნენ 48 წ. და 71 წ. დიდებული დღეები თუ არა გამეორება 14 ივლისისა? ჩვენი გული ახლაც ძლიერად იწყებს ხოლმე ცემას, როცა გვესმის მოთხრობა იმისა, თუ როგორ ამზადებდა ფარულად სასახლე Conpéstat-ს, როგორ შეიტყვეს მუშებმა, როგორ აჯანყდენ, როგორ გამოსჭედეს შუბები, გადასწვეს ტამოჟნები და როგორ გაემართენ იმ საშინელ ციხის ასაღებათ, რომლიდგან მთელ პარიზს საშინლად გადმოჰყურებდა ზარბაზნები და რომელშიაც საშინლად კვნესოდნენ კიდევ ძველი რეჟიმის მსხვერპლნი, რამდენ ახალგაზრდას, ყველა ნაციისას, ამ ამბავთა გაგონებაზე უგრძვნია, თუ როგორ ენთება მის ძარღვებში სარევოლიუციო ცეცხლი!

თუმცა რევოლიუციის იუბილეის დღესასწაულობდენ, მაგრამ იმ ამბებების შესახებ, რომელსაც მსოფლიო ისტორიისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მის წინასწარ საუკუნეთა ევოლიუციას — მართალი ჯერ კიდევ არ უთქვამთ.

აღვადგინოთ ფაქტები, რომელნიც სულ უფრო და უფრო იკარგებიან ოფიციალურ ტყუილების მორევში და ბურჟუაზიულ ლეგენდებში, რომელთა გამოგონება იმისათვის დასჭირდათ რომ ხალხისათვის ხელი შეეშალათ ესარგებლნათ ამ დიდებულ ეპოპეის გაკვეთილებით და იმიდგან მას ჯეროვანი დასკვნა გამოეყვანა.

ბურჟუაზიული და იაკობინური ტყუილი ამახინჯებს ამ რევოლუციაში ხალხის მცქმედებას. ჩვენ ვცდებით აღვადგინოთ მისი ნამდვილი ხალხური აზრი.

ორმა დიდმა მიმდინარეობამ მოამზადა და მოახდინა რევოლიუცია. პირველი მათგანი ქება დღდებით იხსენიება ოფიციალურ სიტყვებში. ჩვენ შევჩერდებით მეორეზედ, რომელზედაც სიამოვნებით სდუმან, რადგან იგი ანარქიული იყო.

პირველი მიმდინარეობა — თავით ბოლომდე იდეური — დაიბადა ბურჟუაზიაში, ხოლო მეორე, რომელიც თავით ბოლომდე, მოქმედებითი იყო, იშვა და გაიზარდა ხალხის მასსაში, — გლეხებში სოფლად და მუშებში ქალაქად, და როცა ეს ორი მიმდინარეობა ერთმანეთს შეხვდნენ და შეკავშირდენ მიზანში, რომელიც თავდაპირველად საერთო იყო, როცა ერთმა მეორეს ხელი მისცა საშველად — რევოლიუციამაც იფეთქა და დაიწყო გრიგალივით მსხვრევა დაწესებულებათა, რომელთაც საუკუნოების განმავლობაში მჭიდროთ მოეკიდათ ნიადაგი და რომელნიც იმდენად ძლიერნი მოსჩანდნენ, რომ თვით გაბედულ რეფორმატორებსაც ვერ გაებედნათ მათი ოდნავ შეხება დაეცა, სრულიად დაიმსხვრა ყოველივე ის, რაც კი საუკუნოების განმავლობაში საფრანგეთის საზოგადოებრივ, რელიგიურ

რელია, მივსწერეთ, რომ „ცენტრალურ კომიტეტთან“ არავითარი დამოკიდებულება არ გვაქვს. აშკარად უნდა ვსთქვა, თავლაფი დაესხას ისეთ „ინტენაციონალიზმს“, ისეთ „პრინციპს“, რომელიც ნებას არ აძლევს კაცს დახმარება აღმოუჩინოს თავის მოძმეს გაჭირვების დროს*. რაც შეეხება ქ. ჟენევას სოც.-დემოკ. იმათზედ არაფერი არ შეგვიძლია ვსთქვათ, მათ აშკარათ არ გამოსთქვეს თავიანთი აზრი, მხოლოთ ის კი მართალია რომ, არავითარი მონაწილეობა არ მიიღეს და არ დაგვეხმარენ. უნდა აღვნიშნოთ რომ ს.-დ.-საც მონაწილეობა რომ მიეღოთ, იმ შემთხვევაში, რასაკვირველია, გაცილებით მეტს შევაგროვებდით.

მადლობის ღირსი არიან შემდეგი პირნი: გრ. რობაქიძე ქ. ლეიპციგში რომელმან შეაგროვა 48 ფრან.; მ. დონდუა ქ. დარმტადში — 110 ფრნ. 80 სან.; ს. ძველაია ქ. ლოხანაში — 55 ფრანკი; კ. კიკაჩეიშვილი ქ. ფრიბურგი (შვეიცარია) — 8 ფრან. ერთმა ამხანაგმა რუსმა ქ. **ანსში** (საფრანგეთი) შეგვიგროვა 30 ფრანკი — 50 სანტიმი; მეორე ამხამაგმა (რ.) ლიეჟიდან გამოგვიგზანა 2 ფრან. დანარჩენი იყო შეგროვული ქ. ჟენევაში.

გამოგვიგზავნე ჟენევის ანარქიულ არგანიზაციის ხელით, ერომა იტალიელთა მუშათა ანარქიულმა ჯგუფმა ქართველების სასარგებლოთ 24 ფრანკი. დაწვრილებითი ანგარიში გადავეცით ჟენევის ქართველ სტუდენტებს. რადგან ფულების შეგროვება დაგვიანდა და კიდევ ვერ შევაგროვეთ, ამიტომ გადავწყვიტეთ გამოგვეგზავნა ის ფული რომელიც უკვე შეგროვილი იყო; დარჩა რამოდენიმე ფურცელი შეუგროვებელი: ერთი არის ლეიპციგში, მეორე ვენაში, მე 3. კიდევ ჟენევაში; ამ ფურცელში შეგროვილი ფული მიღებისთანავე იქნება გაგზავნილი. უკვე მოგროვილი ფული 547 ფრანკი ჩვენდამი არის გამოგზანილი 30 ივლისს 1906 წ. ბატ. გიორგი ლასხიშვილის სახელზედ, როგორც ერთ-ერთ იმ კომისიაში მყოფ წევრისა, რომელიც იყო დაარსებული ქ. თბილისში დაზ. ქართველ. დასახმარებლათ.

ვიქტორ ლოლელიანი.

* შეიძლება რომელიმე სოც.-დემ. შეფუცხუნდეს ზემო თქმულისგამო. და დაიწყოს ღრიალი, ეს ცილის წამება არისო, მაშინ შეგვიძლია დაურღვეველი საბუთები წარუდგინოთ. მაგრამ განა მაგათ რამესი რცხვენიათ?!

## ახალი ამბავი

ამ დღეებში კოლონიის ქუჩაზე გენერალ ვერაშჩუკის ბინაზე გამოცხადებულან პოლიციელების ტანისამოსში სამი კაცი: ერთი უბნის ზედამხედველის ფორმაში ორიც გოროდოვოებისაში, გაუჩხრეკიათ გენერალი, და წასულან. გაჩხრეკის დროს გენერლისათვის 60 მ. მოუპარავთ.

— როგორც ბაქოდან გვატყობინებენ იქაურ სპარსელებს პანაშვიდი გადუხდიათ სპარსეთში თავისუფლებისათვის თავდადებულთა სულის მოსახსენებლათ.

— გერუსიდან იტყობინებიან, რომ ადგილობრივს თათრებს გაუდენიათ ცხვარი და ცეცხლი წაუკიდებიათ აზარიაცის სპილენძის ქარხნისათვის. თათრებსა და სომხებს შორის მდგომარეობა გამწვავებულა.

— როგორც შევიტყვეთ პირველი კრება ეჩმიაძინში, სომეხ დელეგატებისა შესდგება კათალიკოსის განკარგულებით 15 მარიობისთვეს.

— 5 მარიობისთვეს საღამოს სპარსეთში კონსტიტუციის გამოცხადების გამო დღესასწაული გამართეს ადგილობრივმა სპარსელებმა. დღესასწაულს დაესწრენ სპარსეთის უმთავრესი კონსული და სხვა სტუმრები. უკანასკნელთ გაუმასპინძლდენ ტკბილი საჭმელებით და სასმელებით.

— როგორც შევიტყვეთ სათავად აზნაურო გიმნაზიის გამგე კომიტეტს და პედაგოგიურ საბჭოს აზრათა აქვთ გამართონ მოწაფეების მშობლებთა კრება, რომელზედაც სურთ გამოარკვიონ დაიწყონ თუ არა მომავალი წლიდან სწავლა.

— როგორც ხმები დადის, მიუხედავათ იმისა, რომ ქართველი სამღვდელოება პროტესტს პროტესტზე აცხადებს და რაპორტებს ერთი მეორეზე უგზავნის სინოდს, რომ მათ გადასწყვიტეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებულობის აღდგენა, სინოდი მაინც აგზავნის ეგზარხოსს, რომელთაც 26 მარიობისთვეს მოელიან თბილისში.

— მოიჯარადეთა კავშირმა, რომელთაც ქვაფენილების და გზატკეცილის მოკენჭვა აქვთ აღებული, აუწია ფასებს ქვაზე, ქვიშაზე, კონჭებზე და სხვა საჭირო მასალებზე, რადგან მათის სიტყვით, მუშათა ხელფასს აუწევია და საკვებიც გაძვირებულა.

— 5 მარიობისთვეს ზუბალაშვილის სასახლის გამგე კომისიამ დაათვალიერა შენობა და ნახა რომ შენობა თითქმის მზათ არის. შენობაში გარდა თეატრისა კიდევ რამოდენიმე თავისუფალი დარბაზებია, მაგალითად სამკითხველოსათვის და აუდიტორიისთვის და ბუფეტისათვის. პარტერი თეატრისა ისე მოწყობილია, რომ საჭიროების დროს შეიძლება შეერთდეს სცენა.

— 5 მარიობისთვეს ღამის 12 საათზე თომას და ბაგრატიონის ქუჩის კუთხეში მოკლეს გოროდოვოი. გოროდოვოის ტყვიის გარდა ხანჯლის ჭრილობებიცა აქვს.

— როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ 20 ივლისს ქუთაისიდგან რაჭაში მიმავალს დილიჟანსს ს. ძიმისტაროსთან წამოწევია ორი ეტლი რომლიდანაც გადმოხტარა რამოდენიმე ყმაწვილი კაცი, რომელთაც გაუძარცვავთ მგზავრები. წაურთმევიათ 500 მ. კერესელიძისათვის და 10 მან. ირაჯაფარიძისათვის.

— იქიდანვე გვატყობინებენ, რომ სოფელ სიმონეთში, ქუთაისის მაზრაში, თავს დასხმიან რამოდენიმე კაცი გვატენაძეს, რომლისათვისაც წაურთმევიათ 187 მ. ნივთები.

— 31 ივლისს, დილის 7 საათზე ბაღდადიდან მოჭავალს დილიჟანს თავს დასხმიან რამოდენიმე შეიარაღებული კაცი და გაუძარცვავთ მგზავრები. წაუღიათ 119 მ. და 35 კ.; ვერცხლის საათი, ოქროს ბეჭედი და შემდეგ მიმალულან. გამოძიება სწარმოებს.

---

პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრების საფუძველს შეადგენდა: ყველა შეძენილი იდეები, ყველა საზოგადოთ მიღებული შეხედულებანი სხვა და სხვა მოვლენაზე და ისე რთულ საკითხზე როგორც საერთო ადამიანთა შორის ურთიერთობაა.

იჩინეს თავი და განვითარდენ ახალი შეხედულებანი მოქალაქეთა შორის მრავალნაირ ურთიერთობაზედ, გინვითარდენ ახალი იდეები და გავრცელდენ მთელ ევროპაში, აღელვეს მთელი განათლებული კაცობრიობა და მომავალ საუკუნეთ მისცეს მიმართულება, კითხვები, მეცნიერება, ეკონომიური, პოლიტიკური და ზნეობრივი განვითარება.

—

მაგრამ როგორი იყო ის იდეა რომელმაც ბურჟუაზიაში იჩინა თავი? ჩვენ ადვილათ შევიძლებთ მის სიდიდის მის მნიშვნელობის დაფასებას, თუ ჩაუკვირდებით, გავეცნობით მის ნაყოფებს.

პოლიციურ-ცენტრალისტური სახელმწიფოები რომელთაც გაუნაწილებიათ თავიანთ შორის ევროპა და მასთან ერთად მის ტერიტორიაზედ გაფანტული ხალხი 1789 წლის რევოლიუციონურ ბურჟუაზიის მოღვაწეობის პირდაპირი შედეგია.

ეს უზარმაზარი სახელმწიფოს მექანიზმი, რომელსაც რომელიმე სატახტო ქალაქის ბრძანების თანახმათ მოძრაობაში მოჰყავს მილიონობით ხალხი, გამზადებული ომისთვის, და ათასობით ზარბაზნები, რომელნიც სიკვდილსა სთესვენ, სისხლით ღებავენ ბრძოლის ველს ანადგურებენ სახლებს და ოჯახში გლოვა მოაქვთ ეს ტერიტორიები ადმინისტრატორთა ქსელით მოფენილნი, ადმინისტრატორთა, რომელნიც ცენტრალურ პარლამენტის მიერ დანიშნულების ბრძანებას ასრულებენ, — ეს კანონის სრული მორჩილება მოქალაქეთა მხრივ, ეს კულტი კანონისა, პარლამენტისა, სასამართლოსი და მისი აგენტებისა; მთელი რიგი სასწავლებლებისა, რომელთაც სახელმწიფო ეხმარება და გამგებლობს, რათა გააძლიეროს კულტი მთავრობისა და პასიურ მორჩილებისა; ეს ფინანსთა მეფენი, რომელთაც თავიანთ ქისებში უკავიათ ხალხის ბედ-იღბალი, რომელნიც ხან აძლიერებენ და ხან აქარწყლებენ მმართველთა საომარ მისწრაფებათ ეს მრეწველობა, რომელიც თავის მძიმე ბორბლებით სჭყლეტავს მუშას, რომელიც ნაციამ გადასცა მის სრულს გამგებლობას; ეს ვაჭრობა, რომელიც სამდიდრეს აგროვებს იმათ ხელში რომელთაც მიწა, მაღაროები და ფაბრიკები ჩაუგდიათ; ეს მეცნიერება რომელიც ათავისუფლებს აზროვნებას, ათასჯერ აორკეცებს ადამიანის ძალთა ნაყოფიერებას, ხოლო ამასთანვე სურს დაუმორჩილოს ისინი უფრო ძლიერის ბატონობას, — ყოველივე ეს არ არსებობდა რევოლიუციამდე, ყოველივე ეს მხოლოდ ოცნება იყო ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზიის 1789 წელზედ გაცილებით უფრო ადრე.

ბურჟუაზიამ მთელი ეს პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაცია უფრო ადრე შეისწავლა ვიდრე რევოლიუცია იჩენდა თავს. ამ ორგანიზაციას მთლად ერთიანათ ნახავთ ათასობით დაწერილ თხზულებებში — წიგნებსა და პამფლეტებში — რომელშიაც რევოლიუციის მოღვაწენი ჰპოვებენ თავის ზეგარდმო ნიჭს და ენერგიას, საფრანგეთის ბურჟუაზიამ მშვენივრად იცოდა თუ რა იყო მისთვის საჭირო: მის იდეალი იყო დაემყარებია ინგლისის კონსტიტუციაზე გამოჭრილი წეს-წყობილება მეფის ჩამოყენება უკანასკნელ მწერლის-რეგისტრატორის როლამდე და ბატონობის გადაცემა ბურჟუაზიულ პარლამენტის ხელში, მთავრობის კონცენტრაცია, როგორც ეს ძველ რომში იყო, და მის ხელში გადაცემა გადასახლებისა, სასამართლოსი, სამხედრო ძალისა, სკოლებისა და ვაჭრობისა; აღიარება ხელ შეკრულების თავისუფლებისა; მუშის ექსპლოატაციის სრული თავისუფლება, რაიც სახელმწიფოს დახმარებით უნდა მოხდარიყო სახელმწიფოსი, რომელიც ხელს შეუწყობდა კერძო პირთ სიმდიდრის და დიდ ქონებათა შეგროვებაში: ყველა ეს თანასწორობის, მორჩილების თანასწორობის და დარბევის თავისუფლების სახელით.

როდესაც მოქმედების დრო მოვიდა, როცა ნატვრის განხორციელების ხანა დადგა, ბურჟუაზია წელ-მომაგრებული თავის ცოდნით და იდეალით, უყოყმანოთ შეუდგა დიდის და პატარა საქმეების განხორციე-

—თფილისის სამოსამართლო პალატის დადგენილებით დაიხურა ყოველკვირეული გაზეთი „გლეხი“. რედაქტორს მ. ადამიშვილს ეძებენ და სამართალში აძლევენ 128 და 129 მუხ. ძალით.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ამხანაგო რედაქტორო!

ახლად განსვენებულ ჩემს მეუღლეს, **სოფიო დიასამიძისას**, დიმიტრი ხიმშიაშვილის ასულს, ძალიან სწადდა რაიმე დახმარება აღმოეჩინა თავის მხრით როგორც ქალაქის, ისე სოფლის მუშების საქმისათვის, მაგრამ საუბედუროდ არ დასცალდა მას შესაფერი სამსახური გაეწია მუშათა საქმისათვის ისე, როგორც მას ესმოდა და მოწადინებულიც იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდას მძიმე ავადმყოფობამ შეუმოკლა სიცოცხლე.

ამიტომ ახლა მე მსურს რამოდენადმე მაინც შევუსრულო განსვენებულს ჩემს მეგობარს და თანამოაზრეს მისი წადილი. **მისდა სახსოვრად მე ვაარსებ შრომის ბირჟის დამფუძნებელ თანხას**, რისთვისაც ვურდგენ თქვენს პატივცემულ რედაქციას 300 მანეთს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის 5-პროცენტიან გირავნობის ფურცლებით.

შრომის ბირჟა—საუკეთესო დაწესებულებაა მუშების ინტერესების დასაცავად. იგი პირდაპირ უმტკიცებს მუშებს, რომ მათი სრული განთავისუფლება თვით მათი საქმეა. საფრანგეთის მაგალითი გვიჩვენებს, თუ რაოდენი სამსახური შეუძლია გაუწიოს მუშებს შრომის ბირჟებმა და მათმა ფედერაციამ. საქმიც შოვნა არის, ავადმყოფობა თუ რაიმე სხვა უბედურება, სწავლა-განათლება თუ გაფიცვები—ყველა ამ შემთხვევაში დიდად უწყობს ხელს მუშებს შრომის ბირჟები, რომელთაც ყოველგვარი მასალა აქვთ შეგროვილი, მუშათა ცხოვრების შესახებ.

ეს დაწესებულება, დარწმუნებული ვართ დიდს დახმარებას აღმოუჩენს ჩვენშიაც მუშა ხალხს ხმის პოლიტიკურს და ეკონომიურ ბრძოლაში...

დაე ამ თანხამ და მომავალში ამ სასარგებლო დაწესებულების დაარსებამ შეაერთოს ყველა მუშები, ეროვნებისა პარტიებისა და სარწმუნოების განურჩევლად!... დაე ამან მაინც შეათანხმოს ყველა მუშები და მათი ინტერესების დამცველები და მოსპოს ის საშინელი მომაკვდინებელი ლანძღვაგინება, ერთურთის უპატივცემლობა, რომელიც ასე აფერხებს მუშების საქმეს და რომელიც სხვათა შორის, გულს უკლავდა და აღელვებდა განსვენებულს, მუშების განთავისუფლების მონატრულს.

გრიგოლ დიასამიძე.

P. S. ბოდიშს ვიხდი ამისთანა მცირე წვლილისათვის, მაგრამ ყველამ უწყის, რომ კაპიტალისტი არა ვარ და აგრეთვე ისიც, თუ რა ნაირი გაჭირვებული დროა ახლა. შემდეგში, რამდენადაც შემეძლება, კიდევ დახმარებას აღმოვუჩენ ამ საქმეს*).

გრ. დ.

*) ვთხოვთ სხვა რედაქციებს გადაბეჭდონ ეს წერილი, რათა სხვა დარგის მუშებმა ყურადღება მიაქციონ ფონდის გადიდებას. რედ. შენიშვ.

---

ლებას ისეთი თანდათანის და შეგნებულის ენერგიით, რომელიც ხალხს არას დროს არ ქონია, რადგან მას არ შეუმუშავებია თავისი იდეალი, რომელიც შეეძლო წამოეყენებია ბურჟუაზიის იდეალის წინააღმდეგ.

მაგრამ მიზნის მისაღწევად, საჭირო იყო ძალა, ძალა ფიზიკური, თავდადებულება უშიშრობა სიკვდილისა მტერთა წინაშე. საჭირო იყო მასსების მოძრაობაში მოყვანა, რომ იერიშით აეღოთ ძველი დაწესებულებანი, საჭირო იყო ძველი რეჟიმის დამხობა-განადგურება.

იდეიურ მიმდინარეობასთან ერთად საჭირო იყო მიმდინარეობა მოქმედებითი.

ეს მიმდინარეობა ხალხში დაიბადა: ბურჟუაზია თავდაპირველად ხელს უწყობდა მას და მიმართა კიდეც ხალხის ძალას, როდესაც მონარქიაზედ გაიმარჯვა. ხოლო, შემდეგ, როდესაც ხალხი მესამე წოდების პრივილეგიათა წინააღმდეგ გამოვიდა, ბურჟუაზიამ უკვე მისი შეჩერება მოიწადინა.

და აი, სწორედ ამ ხალხის დიდს დახმარებას არ იხსენებენ, აფუჩეჩებენ სიტყვებში. სრულიად არ იხსენიებენ იმ ამბოხებას, რომელიც ოთხი წელიწადი გაგრძელდა და შეძლება მისცა ბურჟუაზიას გაემარჯვნა და დაემარცხებია მეფის ბატონობა ძლიერ იხსენებენ, ისიც წყენით. მას „საშინელ გათამეტებას“ და „ავაზაკების გადაჭარბებულ ქცევას“ უწოდებენ.

ჩვენ ვეცდებით გავაცნოთ თანამედროვე ანარქისტებს იმათი მოღვაწეობა, რომელთაც ჩვენი წინაპრები ანარქისტებს უწოდებდენ, მოღვაწეობა, რომელიც ნამდვილათ, თავის არსებით და ქცევით ანარქიული იყო და რომელსაც ბურჟუაზიული ისტორიკოსები გარს დუმილით უვლიან. ჩვენ ვწუხვართ რომ არ შეგვიძლიან ყველა წვრილმანების გამორკვევა, თუმცა ყოველ მათგანს თავისი მნიშვნელობა აქვს, რადგან ძველ ბრძოლათა შესწავლა უკეთესი გაკვეთილია მომავალ მებრძოლთათვის.

ფარ.

(გაგრძელება იქნება).

---

ამხანაგო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ფარდა ავხადო იმ საზიზღრობას, რომელიც დაფარეს ჩვენმა მესვეურმა სოციალ-დემოკრატებმა. 13 ივლისს მოვიდნენ ქალაქის გამგეობიდან მცხოვრებთა ასაწერათ კიროჩნაია ქუჩაზედ სვანიშვილის სახლებში; ასწერეს სხვათა შორის ეფრემ ახპატელოვის ოჯახობა, სადაც ცხოვრობენ ეფრემ ახპატელოვი თავისი ცოლით. ცოლის დით, მოსამსახურე ქალით და ოთხი ბავშვით (ორი წინანდელ ცოლთანა ყავს, სონა 9 წლისა და დათა 7-სა, მესამეს ბიძა ინახავს წინანდელი ცოლისას). რიგი ეფრემას ოჯახის აღწერაზედ მიდგა თუ არა შუშანა (ცოლის და ეფრემასი) დაიმალა, როცა შენიშნა 7 წლის დათამ და უთხრა აღმწერთ შუშანა ზალაშია დამალულიო იმათ წასვლისთანავე დაიჭირეს ბავშვი, დედინაცვალი და მის და შუშანას ასწევდენ ზევით, დაახლიდენ პოლზედ და წიხლებით სცემდენ, მერე გამოაყოფინეს ენა და ნემსით სჩხვლიტეს, (რასაც დაამოწმებს მეახლე ქალი და ბავშვი, მერე 11 საათიდან გააჩერეს შუა-გულ ოთახში უსმელ-უჭმელი სალდათის მსგავსათ და ხუთ საათამდის ამ ტანჯვაში ყავდათ. მეორე დღეს გვაჩვენა ბიძა მისმა წინანდელ დედის ძმამ მთელი ტანი ლილასავით დალურჯებული ჰქონდა ცემით. ამ ზემო ჩამოთვლილს საზიზღრობას მამა ვერ დაესწრო და თუმცა კიდეც ყოფილიყო ვერას გაიდებოდა, რადგან ამ საქმეზედ კრინტსაც ვერ დასძრავდა, თუნდა უმნიშვნელო პროტესტი კი გამოუცხადა ცოლის დას. წადი მომშორდი სახლი გაქვს და პატრონები გყავანო, მაგრამ ეს მხოლოდ ხალხის დასაწყნარებლად მოიქმედა და სხვა არაფერი. ეს ოთხი წელიწადია რაც ეფრემასთან არის ცოლის და, ჯალათი ბავშვებისა. საჭიროა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ უნუგეშო მდგომარეობას.

ერთს ბავშვს ხომ ბიძა ინახავს, ნაცემიც იმასთან არის გალახვის შემდეგ, ტანისამოსს უთვლიან და იმასაც კი არ აძლევენ. ეს საქმე აქონდათ გადაცემული ჩვენებურ სოც.-დემოკრატებს. ეს მესამე კვირაა გაზეთის ფურცლებზედ ვათვალიერებდით, (რომელსაც შეგვპირდენ) და ვერაფერი ვნახეთ. ამდენ ხანს ხომ თვითმპყრობელობის სოდიც გაარჩევდა ამ საქმეს ან იქნება ლურჯი მაუდის ქვეშ ამოსდეს ეს საქმე?

ეკალი.

## ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო).

**ვილნა.** კიევის ქუჩაზედ აღმოაჩინეს ფარული სტამბა. შეიპყრეს 3 კაცი.

**კავკავი.** 45 რევოლიუციონერებმა აიძულეს გაზეთ „ტერეკ“-ის სტამბა, სიკვდილის მუქარით, დაებეჭდათ 7,000 მოწოდება რუსს გლეხებისადმი და მიიმალნენ.

**მოსკოვი.** ბუტირის ციხის საავადმყოფოში, ავადმყოფნი პოლიტიკური დამნაშავენი უკმაყოფილონი საავადმყოფოს წეს-რიგზე მოახდინეს არეულობა, მა[illegible] მიემატნენ ჯანსაღნი. გამოწვეულმა ჯარმა ისროლა. 2 მოკლულია და რამდენიმე დაჭრილი.

**პეტერბურგი.** როგორც ხმები დადის ბელენცოვი, რომელმაც გაძარცვა მოსკოვის სავაჭრო ბანკი, და რომელიც შვეიცარიის მთავრობამ გადასცა რუსეთს, გაიქცა პსკოვის მახლობლად. ბელენცოვი გადმოხტა მსწრაფ მიმავალ მატარებლიდგან. მატარებელი გააჩერეს. გაჩხრიკეს ახლო-მახლო ადგილები მაგრამ იგი ვერ იპოვეს.

**ლოძი.** დაწვრილებითი ცნობები ლოძში მესამე პოლიციის ნაწილის დაცემაზე: საღამოს რამდენიმე ათეული პირნი მოვიდნენ პოლიციის ნაწილში სამ მხრიდგან, საყვირის სიგნალის შემდეგ დაიწყეს სროლა ბრაუნინგიდგან, დასჭრეს ყარაული, მერმე შეაგდეს 5 ყუმბარა, ბოქაულის კაბინეტში, კანცელარიაში და ყარაულის სადგომში. კანცელარია დაიქცა. ყუმბარამ დასჭრა, ბოქაული, მისი ცოლი და სამი ჯარის კაცი. ორი იმათაგანი გარდაიცვალა. ჯარმა დაუწყო სროლა მათ, რამდენიმე დასჭრეს. ღამე ისროდნენ პოლიციის ნაწილთან, მახლობელ მოედნებიდგან და ბაღებიდგან.

**შანხაი.** იუწყებიან, რომ უანშიკაი ჰფიქრობს ერთ რომელიმე პროვინციაში საცდელად შემოიღოს კონსტიტუციონალური მართველობა.

**ბახმუტი.** იუზოვკაში ინჟინერ-მექანიკ ციმბერგს ესროლეს უცნობ ბოროტმოქმედებმა, შემდეგ გადაისროლეს ორი ყუმბარა. ციმბერგი დაიჭრა პირისახეში. მსროლელნი მიიმალნენ.

**ვილნა.** მუშების ბრბომ სცემა დარაჯებს, რომელთაც მიჰყავდათ დაპატიმრებულნი ლეპსკის ლუდის ქარხნების მუშები.

**ნიუ-იორკი.** ვალპარაიზოში (ჩილი) მიწა იძვრა. რამდენიმე სახლი დაიწვა. არიან ადამიანის მსხვერპლნი.

**იალტა.** საღამოს შუა გულ ქალაქში ბოქაულ ჩიაჟევსკიმ დასჭრა რევოლვერით 16 წლის ბიჭი, რომელმაც [illegible] განაცხადა წაყოლოდა პოლიციის ნაწილში.

**ორიოლი.** 44 ვერსტზე ორიოლიდგან სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზებზედ საქონლის მატარებელი დაიმსხვრა. მიზეზი არ იციან.

**სიღნაღი.** უცნობმა პირმა რევოლვერით მოჰკლა მემამულე თავადი ვაჩნაძე და მიიმალა. განსვენებულს აღმოაჩნდა 170 მანეთი ფულად და რევოლვერი.

**ნიჟნი—ნოვგოროდი.** „ნადეჟდის“ სააგენტოდგან, შეიარაღებულ ბოროტ-მოქმედებმა გაიტაცეს 16,000 და მიიმალნენ. ერთი ბოროტ-მოქმედი დაიჭირეს.

რედაქტორ გამომცემელი
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგისა“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.